ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 111

ქალაქი ქუთაისი 13 მარტი 2020 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი
კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის
მიზნით, ღონისძიებების განხორციელების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულების პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა (გარდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა) და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა, შესაძლებლობის შემთხვევაში, სამუშაო შეასრულონ დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) უნდა გამოცხადდეს;

ბ) წინამდებარე ბრძანების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.

3. სამსახურში არ გამოცხადდეს:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საკრებულოს წევრი, პროფესიული საჯარო მოხელე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ, ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იტალიის რესპუბლიკა, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო) ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნის გავლით - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საკრებულოს წევრი, პროფესიული საჯარო მოხელე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დროისთვის ან შემდეგ იმყოფება ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქვეყანაში და დაბრუნდება საქართველოში - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საკრებულოს წევრი, პროფესიული საჯარო მოხელე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი;

დ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საკრებულოს წევრი, პროფესიული საჯარო მოხელე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და საკრებულოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

ე) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საკრებულოს წევრი, პროფესიული საჯარო მოხელე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირი, რომელიც არის ორსული ქალი.

მუხლი 2. წინამდებარე ბრძანების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:

1. ორკვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;

2. სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში;

3. შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

მუხლი 3. ეთხოვოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულ ყველა პირს დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები, ჰიგიენის წესები და მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ექიმს.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა.

მუხლი 5. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

1. შეიზღუდოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა/რეგულირება;

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი შენგელია